# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   ორშაბათი, 6 აპრილი   1998 №50 (585)   ფასი 30 თეთრი



[illegible] ფოტო

წესების გარეშე ბრძოლის პირველ დღეს გამარჯვებულმა ლევან ჯაფარიძემ ნახევარფინალში ნიკო აფციაური აიტაცა, დასცა და რადენიმე წამში დანებებაც აიძულა

## პირველი სისხლი
## ძმური ცემა-ტყეპა სპორტის სასახლეში

ასეთი რამ მართლაც პირველად ვიხილეთ საქართველოში: სპეცეფექტები, დარბაზის შუაში რვაკუთხა რინგი, ელეგანტური წამყვანი, სამი ლამაზმანი, განწყობის შესაფერისი მუსიკა, ტოტალიზატორი, გადაჭედილი სპორტის სასახლე, ქომაგთა ემოციური შეძახილები და ბოლოს, 12 ათლეტი, აქედან ოთხი ალტერნატიული, რომლებიც, საჭიროებისამებრ, ძირითადთა შესაცვლელად გამზადებულიყვნენ. რაც მთავარია, იყო შოუ, რომელმაც ხალხი მიიზიდა, ანშლაგი, რომელიც სპორტის სასახლეში კარგა ხანია არ ყოფილა.

...ხუთის ნახევარი. სასახლე ბნელდება, შუქი ოდენ არენაზე გამოსასვლელს ანათებს, ყელბაფთიანი მამაკაცის გამოჩენა და გამაყრუებელი ყიჟინა ერთია. იგი რინგზე აბიჯებს — პირველად საქართველოში — ბრძოლა წესებს გარეშე. თორმეტმა ნაღდმა კაცმა რინგს შემოუარა, წინ ერთი გოგონა მიუძღვით, უკან ორი მიჰყვება, ბოლოს ესენი რინგზე წრიულად ლაგდებიან და წამყვანი მათ ვინაობას გვამცნობს. მერე აკრძალული ხერხების ჩამოთვლა, რომლებიც ქართველთათვის უცხოა — კბენა, შეფურთხება, თვალში, ცხვირში, პირში, ყურში თითების შეყოფა-ჩაყოფა, ხალხი უსტვენს, ხელებს შლის, სკამებზე აბრახუნებს. ეს ყველაფერი კმაყოფილების ნიშანია, შეკრებილთ დასაწყისი მოსწონთ, მაგრამ ეჭვიც ეტყობათ, რით და როგორ დასრულდება ყოველივე. კიდევ რამდენიმე წუთი, მსაჯი რინგზე, წამყვანი რინგს გარეთ, 12-დან ორი მსაჯს ხელს ართმევს, წითელ-ლურჯ კუთხეებისკენ მიემართებიან და იწყება. იწყება თავ-პირის მტვრევა. თავიდან ვშიშობდით, ვაითუ, სპორტის ახალი სახეობა ხალხმა ვერ მიიღოსო. ახლა, როცა პირველი წრე ჩამთავრდა, გადაუჭარბებლად ვიტყვით — ეს შოუ, ჩხუბი თუ გართობა დამსწრე საზოგადოებამ მიიღო. ყველას კმაყოფილება ეტყობოდა, დამარცხებულთა ქომაგნიც კი ახალ წამოწყებას ესალმებოდნენ.

პირველები რინგზე ალტერნატიული სპორტსმენები გამოჩნდნენ. სადებიუტო ბრძოლა: კოკბოქსინგელი, 72-კილოიანი გოჩა ოსიტაშვილი და ქუჩის მოჩხუბარი, 68-კილოიანი ზაზა გაბიტაშვილი. ცემა-ტყეპა 42 წამში მორჩა. ოსიტაშვილმა ნოკდაუნით მოიგო. მეორე წყვილი, ასევე ალტერნატიულები. თავისუფალი სტილით მოჭიდავე, 87-კილოიანი კოტე ზამთარაძე და ქუჩის მოჩხუბარი, 105-კილოიანი გოგიტა წიკლაური, ბრძოლა 3 წუთში წიკლაურის გამარჯვებით დამთავრდა.

იხილეთ მეოთხე გვერდი

## რეალი დაისაჯა, მაგრამ დორტმუნდი არ წაუხალისებიათ

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ბრძანა, მადრიდის „რეალმა" შემდგომი ორი საშინაო შეხვედრა, რომელიმე ევროშეჯიბრებაში რომ მოუწევს, მშობლიური „სანტიაგო ბერნაბეუდან" 300 კილომეტრით დაშორებულ ადგილას უნდა ჩაატაროს და ჯარიმად 1,3 მილიონი შვეიცარიული ფრანკი ანუ 851 ათასი დოლარი გადაიხადოსო.

სასჯელი „რეალისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" ჩემპიონთა თასის ნახევარფინალურ შეხვედრას მოჰყვა. ეს მატჩი 75 წუთით გვიან დაიწყო, რადგან ესპანელი გულშემატკივრები საფეხბურთო კარს უკან, მოედნისა და ტრიბუნის გამოყოფ ბადეზე აძვრნენ, ბადე ჩაიქცა და დაქაჩა ტროსი, რომლითაც კარი იყო დამაგრებული. კარის ძელები ძირში გადატყდა.

ახალი კარის მოტანას გვარიანი დრო დასჭირდა, მაგრამ მიუხედავად დაგვიანებისა, თამაში გაიმართა. „რეალმა" გაიმარჯვა 2:0 და ახლა, 15 აპრილს საპასუხო მატჩი დორტმუნდში აქვს სათამაშო. მოგეხსენებათ, დორტმუნდელებმა მადრიდში ჩატარებული თამაშის შემდეგ უეფაში პროტესტი შეიტანეს, თუმცა მოგვიანებით მასზე უარი თქვეს.

თანხა, რომელიც მადრიდის „სამეფო კლუბმა" უეფას უნდა გადაუხადოს, ის კი თავის მხრივ მის წევრ ფედერაციებს წლის განმავლობაში დაგროვებულ სხვა საჯარიმო თანხებთან ერთად გაუნაწილებს, ასე განისაზღვრა: 300 ათასი შვეიცარიული ფრანკი მასობრივი უწესრიგობის გამო მისჯილი თანხაა, ხოლო მილიონი ის ფულია, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუს" დირექციას ზედმეტი ბილეთების გაყიდვით ერგო — 72 ათასი მაყურებლის ნაცვლად სტადიონზე 85 ათასი იჯდა, 13 ათასით მეტი.

„რეალისა" და ესპანური ფეხბურთის ხელმძღვანელებს სანქცია ემკაცრათ.

— ის ძალიან გადაჭარბებულია, რაც მოხდა, მასთან არაპროპორციულად დიდი — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ.

იმას, თუ რატომ იყო უსაფუძვლო დორტმუნდელთა პროტესტი, უეფას სადისციპლინო კომიტეტის შეფი რენე ებერლე ასე განმარტავს:

— ერთი რომ დაისაჯოს, მეორე კი წახალისდეს, ამისთვის პროტესტის მიზეზს რომელიმე მხარისთვის დიდი უპირატესობა უნდა მიენიჭებინა. მადრიდში ორივე გუნდს ერთნაირი პირობები შეექმნათ.

მართლაც, თამაში „რეალისა" და „ბორუსიასთვის" ერთნაირად 75 წუთით დაგვიანდა და განსხვავებულ, მოტანილ კარშიც ორივეს რიგ-რიგობით მოუხდა დგომა, ასე რომ...

## თეთრი ბლეკების ტრიუმფი

DAVIS CUP by NEC

ამ უქმეებზე ჩოგბურთის გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — დევისის თასის მერვედფინალები გაიმართა და პირველი სენსაციებიც მოხდა. ავსტრალიურ მალდურაში ზიმბაბვეს გუნდმა, რომელიც ორი თეთრკანიანი ძმის — უეინ და ბაირონ ბლექებისგან შედგებოდა, გათამაშების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად შერაცხული მასპინძლები გააბითურა 3:2, თანაც პირველი ორი დღის შემდეგ 1:2-ს აგებდა.

სხვა შეხვედრები ასე დასრულდა

იტალია 4:1 ინდოეთი

სლოვაკეთი 2:3 შვედეთი

გერმანია 5:0 ს. აფრიკა

ბრაზილია 2:3 ესპანეთი

შვეიცარია 3:2 ჩეხეთი

## თუ ინებებთ გაგვარკვიეთ!

ახლოვდება 24 ივლისი. ამ დღეს აირჩევა ფეხბურთის ფედერაციას ახალი თავკაცი, რომელიც 2002 წლამდე უხელმძღვანელებს ქართულ ფეხბურთს. სპორტს, რომელიც უპირველესია საქართველოში და მავანთა დაუდევრობით საკმაოდ დაძაბუნებულა. რა ელის ქართულ ფეხბურთს? ვერავინ გეტყვით, მერამდენედ დაისვა ეს კითხვა, პასუხი კი არავის აქვს.

ყრილობამდე კი სამიოდ თვეა დარჩენილი. ეს დღეებიც მალე გაილევა და ბევრს ყრილობამდე სამი დღით ადრე გაახსენდება, რომ ჩვენი ფეხბურთის ბედია გადასაწყვეტი. ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე ყოფილა. მერე დაიწყება ნაჩქარევი მზადება, შეხვედრები, რეკვები, ახლობელ-მეგობართა შეწუხება თანამზრახველთა ძებნა. ვის რაში სჭირდება ასეთი ყრილობა. ყველამ გულზე ხელი დაიდოს და წინა ყრილობაზე თქვას, უმწიკვლოდ ჩავატარეთო. ვერავინ დაიფიცებს, რადგან მსგავსი არც ყოფილა.

მოვლენათა განვითარების ოდენ შემყურენი ვერ ვიქნებით, ვერც სხვის წისქვილზე დავასხამთ წყალს და ულირს კანდიდატსაც ვერ დავუკრავთ ტაშს — სწორედ ამასგამოხატავდა გუშინ ჟურნალისტთა სახლში შეკრებილი სპორტული ჟურნალისტების შეხვედრა. ის პირველი იყო და ამიერიდან სისტემატურად მოეწყობა.

უსაშველოს და მიუღებელს არაფერს ვითხოვთ. უბრალოდ, იმას, რაც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში წესადაა. პირველ რიგში ფეხბურთის ფედერაციამ უნდა გამოაქვეყნოს ყრილობის ჩატარების დებულება. ბოლო-ბოლო, უნდა გაგვიმხილოს ალმასკომის წევრთა რაოდენობა და ვინაობა, რადგან სასურველი და სავალდებულოა ხალხმა იცოდეს იმათი გვარები, ვინც მანდატების განაწილებაში გადამწყვეტ სიტყვას ამბობს. ხალხმა ისიც უნდა იცოდეს, როგორ ჩატარდება ყრილობა. ექნებათ თუ არა ჟურნალისტებს ყრილობაზე დასწრების უფლება და ასე შემდეგ.

საერთოდ, რამდენი გვყავს ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი, ესეც ძლიერ საინტერესოა. აქვთ თუ არა მათ სამოქმედო პროგრამები, ისეთი, რეალური რომ ეთქმოდეს და ქართულ ფეხბურთს ნამდვილად წაადგეს. თორემ უტოპიური და ხალხის მოსატყუებელი არავის სჭირდება.

ჩვენ არავის ვებრძვით, უბრალოდ, გვსურს, ყრილობაზე სუფთა თამაში ვიხილოთ, ჟურნალისტებიც ვაგებთ პასუხს მომხდარზე და არ გვინდა, მერე რაიმე სანანებლად დაგვრჩეს. საფეხბურთო საზოგადოებამ ღირსეული უნდა აირჩიოს, შემთხვევით კანდიდატს ჩვენ მხარს არ დავუჭერთ, ამიტომ, გაგვარკვიეთ, რა ხდება, ბატონებო. სწორედაც რომ ეს გახლავთ ფეხბურთში მოტრიალე ჟურნალისტთა თხოვნაც და მოთხოვნაც.

**მამუკა კვანტალიანი**

## დინამო, შესაძლოა, გააციმბირონ

რუსეთის ჩემპიონატის მეორელიგელი ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცი" ჩვენს ყურადღებას ნამდვილად არ მიიპყრობდა, ერთი გარემოება რომ არა. პირველ ლიგაში აღზევებას იგი ქართველების დახმარებით აპირებს. როგორც იცით, თებერვალში „ჩკალოვეცი" წყალტუბოში იმყოფებოდა შეკრებაზე და რამდენიმე ჩვენებურ გუნდს ამხანაგურადაც გაეჯიბრა. წყალტუბოდან ციმბირელები შინ კი გაბრუნდნენ, მაგრამ ცოტა ხნით. მეორე შეკრება მათ ისრაელში მოაწყვეს. იქ „ჩკალოვეცს" შვიდი საკონტროლო შეხვედრა გაუმართავს. ერთი ფრედ უთამაშია, მოგება-წაგება კი ტოლად რგებია. შეძლებული მეპატრონე რას ნიშნავს! ისრაელიდან გუნდმა ტაშკენტში ამოჰყო თავი და ჩემპიონატისთვის მზადებას იქვე დაასრულებს. გათამაშება 22 აპრილს იწყება და შორეულ ბლაგოვეშჩენსკში „ჩკალოვეცი" პირდაპირ უზბეკეთიდან ჩავა.

ციმბირელები ტაშკენტში კი არიან, მაგრამ არასრული შემადგენლობით. მათ თავკაცს სერგო ირემაშვილს და მოთამაშე მწვრთნელს მერაბ მეგრელაძეს სამშობლოსკენ გამოუწევიათ სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად. მთავარი მაინც რამდენიმე ტრანსფერი და ნოვოსიბირსკში საერთაშორისო ტურნირზე თბილისის „დინამოს" მონაწილეობაზე ოფიციალური თანხმობის მიღებაა.

ირემაშვილი კმაყოფილია თავისი გუნდით. ამ ბოლოს კიდევ სამი ფეხბურთელი მიუწვევია — მარტინოვი იაროსლავის „შინიკიდან", ლიდრიკი ირკუტსკის „ზვეზდადან" და ბროდკინი ბარნაულის „დინამოდან". მწვრთნელისვე თქმით, ზონაში პირველობას „ჩკალოვეცს", ალბათ, ვერავინ შეეცილება და დასახული ამოცანაც შესრულებული იქნება. ჩვენებურთაგან მეგრელაძის გარდა ამ ეტაპზე გუნდში გოჩა ჟორჟოლიანი, მურთაზ ნაჭყებია, გელა წიქარიშვილი და მამუკა მანაგაძე ირიცხებიან. ორიოდ თვეში კი, ეროვნული ჩემპიონატი რომ დასრულდება, „ჩკალოვეცს" კიდევ შეემატებიან ქართველები. ირემაშვილმა ეს ფაქტი დაგვიდასტურა, მაგრამ ფეხბურთელთა გვარები მაინც არ გაგვიმხილა, სატრანსფერო საკითხებს მოვრჩებით და მერეო. რაღა თქმა უნდა, სერგო ირემაშვილს ჩვენ ბომბარდირთა ბომბარდირზე მერაბ მეგრელაძეზეც დავეკითხეთ. ეტყობა, მას „ბაბუს" დიდი იმედი აქვს. მთავარი და მასზე შვიდი წლით უფროსი მოთამაშე-მწვრთნელი ძმაკაცურად არიან. ისე, მერაბს ებრაელებისთვის სამი ბურთი გაუტანია და, ალბათ, რუსებსაც არ დაინდობს. ბოლოს იმას ვიტყვით, რომ ქალაქ ქვარსავაში ადგილობრივი „ჰაპოელის" შემადგენლობაში „ჩკალოვეცის" წინააღმდეგ ამბიძეს უთამაშია და საკმაოდ კარგადაც. კიდევ ერთი. აპრილის შუა რიცხვებში ნოვოსიბირსკის გუნდი ოფიციალურად შეიცვლის სახელს. მას „სიბირი" დაერქმევა.

**იუზა კაციტაძე**

## ნახევარფინალები: 11, 13, 15 აპრილი

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ დაადგინა ქვეყნის ჩემპიონატის პლეი ოფის ნახევარფინალური შეხვედრების ჩატარების დრო. ეს მატჩები გაიმართება 11, 13 და 15 აპრილს სპორტის სასახლეში, დასაწყისი 16 საათზე.

# ამბიციური ლივერპულელები

## ინგლისი

XXXII ტური

**ასტონ ვილა 2:0 ვესტ ჰემი**
1:0 იოაკიმი (77), 2:0 მილოშევიჩი (83)

**ლიდსი 2:1 ბარნსლი**
1:0 ჯიმი (20), 1:1 ხრისტოვი (44), 2:1 მოუზისი (80ს.კ)

**ლესტერი 1:1 ქოვენთრი**
1:0 უილსონი (78), 1:1 ველანი (80)

**შეფილდი 1:0 საუთჰემპტონი**
1:0 კარბონე (78)

**ტოტენჰემი 1:1 ევერტონი**
0:1 მადარი (24), 1:1 არმსტრონგი (74)

**უიმბლდონი 0:0 ბოლტონი**

**დერბი 0:1 ჩელსი**
0:1 მ. ჰიუზი (36)

**ბლექბერნი — მანჩესტერი**
*დღეს გაიმართება*

— ჟაკეს რამდენჯერმე ვურჩიე, ჟინოლა ნაკრებში დაებრუნებინა, არ ვიცი, იგი შემდგომში რას მოიმოქმედებს, მაგრამ როგორც მისი კოლეგა, ვფიქრობ, დავიდი ფრანგთა გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებს. შეიძლება ნაკრებში დიდი ხნის უთამაშებლობის გამო ჟინოლას გარკვეული პრობლემები შეექმნას, მაგრამ, არ მგონია, მისნაირ პროფესიონალს წინააღმდეგობების დაძლევა გაუჭირდეს — „ტოტენჰემის" შვეიცარიელი მწვრთნელი კრისტიან გროსი „ევერტონთან" ექსნიუკასლელი ჟინოლას თამაშით საკმაოდ კმაყოფილი დარჩა. გროსმა რამდენიმე დღის წინ ემე ჟაკეს მართლაც შეახსენა ჟინოლა, მაგრამ ფრანგთა პირველი გუნდის მწვრთნელმა ლონდონელთა თავკაცს ყური არ დაუგდო, აქაოდა, ასარჩევად ჟინოლაზე უკეთესი მოთამაშეებიც მყავსო.

საფრანგეთი ძლიერი ფეხბურთელების ნაკლებობას არასდროს განიცდიდა, მით უმეტეს 90-იან წლებში, მაგრამ დავიდ ჟინოლას დარი მობურთალი ნაკრებში რამდენიმე თუ მოიძებნება. მიუხედავად ამისა, მწვრთნელი მას ჯიუტად უარყოფს. მიზეზი, როგორც ჩანს, მინდვრის გარეთ უნდა ვეძიოთ. ჩვენ ჟაკეს და ჟინოლას ურთიერთობებზე საუბარს სრულიადაც არ ვაპირებთ, უბრალოდ, ფრანგმა ნახევარმცველმა „ევერტონთან" ძლიერად ითამაშა და თითქოსდა მივიწყებულმა თავი კვლავ გაგვახსენა.

ჟინოლამ კი ითამაშა ძლიერად, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ გუნდში 11 ფეხბურთელია. ლივერპულელებთან კი ერთი ლონდონელი ირჯებოდა გვარიანად, დანარჩენები კი ჩვეულებრივად აგორებდნენ ბურთს. დიდი მონდომება მაინცდამაინც არ ეტყობოდათ.

— დღეს რომ მოგვეგო, ამაზე უკეთესი არაფერი იქნებოდა. ძნელია, როცა შეხვედრას იგებ, მერე კი უცბად მხოლოდ ქულას სჯერდები. ისე, არ დაგიმალავთ, ფრედ რომ დასრულდა შეხვედრა, ეს ყველაზე უპრიანი იყო — „ევერტონის" თავკაცი ჰოვარდ კენდალი „ტოტენჰემთან" ვერმოგებას ნანობდა.


ტოტენჰემელები არმსტრონგის გოლმა ერთმანეთს ჩააკონა

სარბიელის არქივიდან

ლივერპულელთა მწვრთნელი საღად მსჯელობდა. მთელი საათნახევრის განმავლობაში არც მასპინძელთ და არც სტუმართ არ ჰქონიათ ისეთი უპირატესობა, გამარჯვებას რომ განაპირობებდა. ყაიმი მართლაც ყველაზე ლოგიკური დასასრული გახლდათ.

რამ გაუჩინა მაჩანჩალა „ევერტონს" ისეთი ამბიციები „ტოტენჰემთან" სტუმრობისას მოგებაზე რომ ფიქრობდა? შესაძლოა, შეხვედრამდე ჰოვარდ კენდალის გუნდი ამას არც გეგმავდა, მაგრამ მიქაელ მადარის გოლი რომ იხილეს, ალბათ, გული მიეცათ. 29, წლის ფრანგი თავდამსხმელი მიქაელ მადარი „ევერტონში" ესპანეთის, კერძოდ ლა კორუნიას „დეპორტივოდან" მივიდა. მას შემდეგ კლუბის მაისური 10-ჯერ მოირგო და 5 ბურთის გატანაც მოასწრო. სხვათა შორის, ბოლო სამი შეხვედრაა, „ევერტონში" მადარის გარდა გოლი ვერავის გააქვს. სტუმართა ფორვარდმა ტოტენჰემელებთან ინგლისის ნაკრების მცველის, სოლ კემპბელის უყურადღებობით ისარგებლა.

და მაინც „ევერტონმა" გასვლაზე ვერ იმარჯვა — ლონდონელი მამლებიდან (ტოტენჰემის თილისმაა) ერთ-ერთმა, კრის არმსტრონგმა, მათ ქულა გამოსტაცა.

„ტოტენჰემ" — „ევერტონის" შეხვედრა პრემიერლიგის აუტსაიდერებში ახდენდა ცვლილებებს. იქ ზევით, ლიდერთა შორის კი ამ უქმეებზე დიდი გადაადგილებები არ მომხდარა — ლონდონელი „მეთოფეების" (არსენალის) და „ლივერპულის" შეხვედრა დედაქალაქელთა ასოციაციის თასის ნახევარფინალში თამაშის გამო გადაიდო, ტურის ცენტრალური შეხვედრა „ბლექბერნი" — „მანჩესტერი" კი დღეს გაიმართება. ლიდერთაგან ერთადერთმა „ლიდსმა" ითამაშა შაბათს, პატარა, თითქმის ყველასგან ძლეულ „ბარნსლის" მოუგო და პრემიერლიგის საფეხურებზე კვლავ აინაცვლა.

— სეზონის წინ ჩემპიონობისთვის არა, მაგრამ მედლებისთვის ბრძოლას ვგეგმავდით. დღესდღეობით, ვგონებ, შეგვწევს ძალა, სამეულს გამოვკრათ ხელი. ჩვენი ბოლოდროინდელი შედეგები მარწმუნებს, რომ „ლიდსი" მომავალ სეზონში ძლიერი გუნდი იქნება. გაისად, ალბათ, ჩემპიონობაზეც განვაცხადებთ პრეტენზიას — მასპინძელთა თავკაცი ჯორჯ გრემი „ბარნსლისთან" გამარჯვებამ კარგ გუნებაზე დააყენა.

შაბათს გამართულ სხვა შეხვედრებს რაც შეეხება, აღსანიშნავია უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლი „ვესტ ჰემის" მარცხი ბირმინგემში. „ასტონ ვილამ" ლონდონელი „ჩაქუჩების" დამარცხება შეძლო, არადა, სტუმრებს მეტოქის მოედანზე ნათამაშევ ბოლო სამ შეხვედრაში ამდენივე ყაიმისთვის მიეღწიათ. ფრედ ითამაშა „ლესტერმა". თან, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ლიგის თასის შარშანდელმა მფლობელებმა, ამ სეზონში შინ ნათამაშევ მე-15 შეხვედრაში მხოლოდ მე-16 გოლი გაიტანეს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 32 | 19 | 6 | 7 | 60:23 | 63 |
| არსენალი | 30 | 17 | 9 | 4 | 49:26 | 60 |
| ლივერპული | 31 | 15 | 9 | 7 | 54:34 | 54 |
| ჩელსი | 31 | 16 | 3 | 12 | 60:35 | 51 |
| ლიდსი | 32 | 15 | 6 | 11 | 47:34 | 51 |
| ბლექბერნი | 30 | 14 | 9 | 7 | 51:39 | 51 |
| ვესტ ჰემი | 31 | 14 | 5 | 12 | 44:40 | 47 |
| დერბი | 31 | 13 | 6 | 12 | 44:41 | 45 |
| ასტონ ვილა | 33 | 13 | 6 | 14 | 40:42 | 45 |
| ქოვენთრი | 31 | 11 | 11 | 9 | 37:36 | 44 |
| საუთჰემპტონი | 32 | 13 | 4 | 15 | 41:44 | 43 |
| ლესტერი | 31 | 10 | 11 | 10 | 36:33 | 41 |
| შეფილდი | 32 | 11 | 7 | 14 | 46:58 | 40 |
| უიმბლდონი | 31 | 9 | 10 | 12 | 30:34 | 37 |
| ნიუკასლი | 31 | 9 | 9 | 13 | 28:35 | 36 |
| ტოტენჰემი | 32 | 9 | 8 | 15 | 33:49 | 35 |
| ევერტონი | 32 | 8 | 10 | 14 | 36:47 | 34 |
| ბოლტონი | 32 | 6 | 13 | 13 | 29:48 | 31 |
| ბარნსლი | 32 | 9 | 4 | 19 | 33:73 | 31 |
| კრ. პალასი | 31 | 6 | 8 | 17 | 27:54 | 26 |

## პირველი დივიზიონი

41-ე ტური. ბერი — ჰადერსფილდი 2:2; სიტი — სტოკპორტი 4:1; ნორვიჩი — ბრედფორდი 2:3; პორტ ვეილი — ოქსფორდი 3:0; პორტსმუთი — ბირმინგემი 1:1; რედინგი — სტოკ სიტი 2:0; სვინდონი — ჩარლტონი 0:1; ვესტ ბრომვიჩი — მიდლსბრო 2:1; ტრანმერი — სანდერლენდი 0:2; ნოტინგემი — იფსვიჩი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 41 | 25 | 8 | 8 | 72:39 | 83 |
| სანდერლენდი | 40 | 23 | 10 | 7 | 71:40 | 79 |
| მიდლსბრო | 39 | 22 | 9 | 8 | 65:38 | 75 |
| ჩარლტონი | 40 | 21 | 9 | 10 | 72:49 | 72 |
| იფსვიჩი | 40 | 18 | 13 | 9 | 65:40 | 67 |
| შეფილდ იუნ. | 38 | 17 | 14 | 7 | 56:41 | 65 |
| ბირმინგემი | 40 | 15 | 15 | 10 | 52:34 | 60 |
| ვულვზი | 39 | 17 | 9 | 13 | 47:39 | 60 |
| ბრედფორდი | 41 | 14 | 14 | 13 | 44:45 | 56 |
| ვესტ ბრომვიჩი | 41 | 15 | 11 | 15 | 41:47 | 56 |
| სტოკპორტი | 41 | 16 | 7 | 18 | 62:60 | 55 |
| სვინდონი | 41 | 14 | 9 | 18 | 39:60 | 51 |
| ოქსფორდი | 40 | 14 | 8 | 18 | 52:55 | 50 |
| ქრიუ | 40 | 15 | 5 | 20 | 46:57 | 50 |
| ჰადერსფილდი | 41 | 12 | 11 | 18 | 47:60 | 47 |
| ტრანმერი | 39 | 12 | 10 | 17 | 43:48 | 46 |
| ბერი | 41 | 9 | 19 | 13 | 39:50 | 46 |
| პორტ ვეილი | 41 | 12 | 9 | 20 | 50:58 | 45 |
| ქუინზ პარკი | 40 | 10 | 15 | 15 | 45:55 | 45 |
| ნორვიჩი | 41 | 11 | 12 | 18 | 39:65 | 45 |
| სიტი | 41 | 11 | 10 | 20 | 47:49 | 43 |
| პორტსმუთი | 40 | 11 | 9 | 20 | 42:56 | 42 |
| რედინგი | 40 | 11 | 9 | 20 | 37:63 | 42 |
| სტოკ სიტი | 41 | 9 | 13 | 19 | 38:63 | 40 |

## ჰოლანდია

**სპარტა 1:1 [illegible]**
1:0 ვან დერ ლაანი (76), 1:1 [illegible] (84)

**მაასტრიხტი 1:2 ჰერენვენი**
1:0 ბოუმა (13), 1:1 გუსატუ (26), 1:2 კონსტანტინოვიჩი (78)

**ვოლენდამი 3:4 ვალვაიკი**
1:0, 2:0 ლიფლანგი (5, 25), 2:1 პეტროვი (31), 2:2 ვან დიემენი (37), 2:3 პილი (56), 2:4 სხოლსი (72), 3:4 ბუგერსი (79)

**ტვენტე 1:2 უტრეხტი**
0:1 მოლსი (41), 1:1 კამპუისი (66), 1:2 ვან დერ გააგი (72)

**გრონინგენი 1:1 როდა**
1:0 მაგნო (55), 1:1 პიტერსი (57)

**ვიტესი 2:1 ნაიმეგენი**
1:0 პეროვიჩი (42), 2:0 ჩუროვიჩი (613), 2:1 ტუმანი (76)

**ფეიენოორდი 0:1 აიაქსი**
0:1 რ. დე ბური (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 27 | 24 | 2 | 1 | 82:12 | 74 |
| ეინდჰოვენი | 27 | 18 | 8 | 1 | 72:30 | 62 |
| ფეიენოორდი | 28 | 16 | 6 | 6 | 52:29 | 54 |
| ვიტესი | 27 | 14 | 7 | 6 | 62:43 | 49 |
| ჰერენვენი | 26 | 14 | 5 | 7 | 43:35 | 47 |
| ტილბურგი | 28 | 14 | 4 | 10 | 51:43 | 46 |
| სიტარდი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:43 | 40 |
| ბრედა | 28 | 10 | 6 | 12 | 32:35 | 36 |
| სპარტა | 28 | 8 | 10 | 10 | 45:48 | 34 |
| ტვენტე | 28 | 8 | 9 | 11 | 31:36 | 33 |
| უტრეხტი | 27 | 10 | 3 | 14 | 50:58 | 33 |
| გრააფსხაპი | 28 | 8 | 8 | 12 | 37:35 | 32 |
| ნაიმეგენი | 28 | 10 | 1 | 17 | 31:53 | 31 |
| როდა | 28 | 7 | 8 | 13 | 35:38 | 29 |
| გრონინგენი | 29 | 6 | 9 | 14 | 35:52 | 27 |
| ვალვაიკი | 29 | 7 | 6 | 16 | 40:59 | 27 |
| მაასტრიხტი | 28 | 7 | 4 | 17 | 27:62 | 25 |
| ვოლენდამი | 29 | 4 | 6 | 19 | 27:79 | 18 |

## შოტლანდია

31-ე ტური. აბერდინი — სენტ ჯონსტონი 0:1; დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 30 | 19 | 6 | 5 | 55:19 | 63 |
| ჰართსი | 30 | 18 | 7 | 5 | 63:37 | 61 |
| რეინჯერსი | 30 | 17 | 9 | 4 | 66:35 | 60 |
| სტ. ჯონსტონი | 31 | 11 | 7 | 13 | 32:37 | 40 |
| კილმარნოკი | 30 | 10 | 9 | 11 | 33:47 | 39 |
| დანდი იუნ. | 30 | 7 | 11 | 12 | 38:43 | 32 |
| მოზერველი | 30 | 9 | 5 | 16 | 39:50 | 32 |
| აბერდინი | 31 | 7 | 10 | 14 | 33:48 | 31 |
| დანფერმლაინი | 30 | 7 | 9 | 14 | 36:61 | 30 |
| ჰიბერნიანი | 30 | 5 | 9 | 16 | 33:51 | 24 |

## თასის გათამაშების ნახევარფინალი

**რეინჯერსი 2:1 სელტიკი**
1:0 მაკოისტი (75), 2:0 ალბერტსი (88), 2:1 ბარლი (90)

**ფალკირკი 1:3 ჰართსი**
0:1 ედამი (5), 1:1 მაკალისტერი (85), 1:2 ედამი (89), 1:3 მაკენი (90)

ალი მაკოისტი „სელტიკის" ნამდვილი რისხვაა. „გლაზგო რეინჯერსის" 35 წლის თავდამსხმელმა, რომელიც თავის დროზე ევროპის „ოქროს ბუცის" მფლობელიც ყოფილა, 75 წუთზე ანგარიში გახსნა, გოლი კი მისთვის კარიერის მანძილზე „სელტიკთან" შეგდებული 27-ე ბურთი გამოდგა. ამდენი გოლის შეგდებას ზოგი კარიერის მანძილზე ვერ ახერხებს, მაკოისტმა კი...

ვინ მოთვლის, მერამდენე „ოლდ ფერმ დერბი" (გლაზგო რეინჯერსის და სელტიკის მატჩებს სწორედ ასე ეწოდება) შედგა გუშინ „იბროქსზე". ვინ მოთვლის, მერამდენედ იმარჯვა „რეინჯერსმა" გლაზგოურ დერბიში.

## რუსეთი

მე-2 ტური. როტორი — შინიკი 6:2; ურალანი — როსტსელმაში 1:3; კრილია სოვეტოვი — ალანია 2:2; ცსკა — ზენიტი 1:2; ტორპედო — ჩერნომორეცი 2:3; ტიუმენი — დინამო 2:0; სპარტაკი — ლოკომოტივი 2:0; ბალტიკა — ჟემჩუჟინა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| როტორი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:4 | 4 |
| როსტსელმაში | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| კრ. სოვეტოვი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ჩერნომორეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ალანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბალტიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ტიუმენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| შინიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ტორპედო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ურალანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ჟემჩუჟინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## ასოციაციის თასის გათამაშება

ნახევარფინალი

**არსენალი 1:0 ვულვერჰემპტონი**

არსენალი: სიმენი, უინთერბერნი, ვიეირა, ადამსი, კეონი (ბოულდი 46), პეტი, გრიმანდი, პარლოუ, ანელკა (პლატი 84), ოვერმარსი, ვრე (ჰიუზი 75)
ვულვზი: სეგერსი, მუსკეტი (კინი 84), ფროგეტი, რიჩარდსი, უილიამსი, კერლი, გუდმერი (ბული 69), სედჯლი, სიმპსონი, რობინსონი (სლეიტერი 71), კლერკი
1:0 ვრე (13)

13 ნამდვილად თარსი რიცხვია. ეს გუშინ პირველი დივიზიონის „ვულვერჰემპტონ უონდერესის" ფეხბურთელებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს — გუნდმა ჩემპიონობისთვის მებრძოლ „არსენალთან" ნორმალურად დაიწყო თამაში, მაგრამ მე-13 წუთზე მეკარე სეგერსმა ერთობ უაზროდ ითამაშა, შეცდომას კი გოლი მოჰყვა.

— საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს, თასიც მოვიგოთ და ჩემპიონობაც. პირველობაში მანჩესტერელებს გავუთანაბრდით (დაკარგული ქულების მიხედვით), თასის მოგებამდეც ერთი ნაბიჯიღა დაგვრჩა. არა, წელს დუბლი აუცილებლად უნდა შევასრულოთ — გამარჯვებულთა კაპიტანი, მრავალჭირნახული ტონი ადამსი ოპტიმისტურად გახლდათ განწყობილი. თუ მოხდა და ლონდონელებმა მართლაც მოიგეს პირველობა და თასი, ისინი 1971 წელს შესრულებულ „დუბლს" გაიმეორებენ.

...„არსენალის" ერთ-ერთი თავდასხმა მაინცდამაინც სახიფათო არ ჩანს, მაგრამ „ვულვერჰემპტონის" ჰოლანდიელი მეკარე ჰანს სეგერსი იმდენს ახერხებს, ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მდგარ ნიკოლას ანელკას მისდის. იგი ორ მეტოქეს იშორებს, თანამემამულე ვრეს აწვდის, რომელიც უძლიერესი დარტყმით ანგარიშს ხსნის. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ვრეს „არსენალი" ფინალში გაჰყავს.

38 წელი გამოხდა მას შემდეგ, რაც „ვულვერჰემპტონმა" ინგლისის თასის ფინალში ითამაშა. გუშინდლამდე პირველდივიზიონელებს „უემბლიზე" (ინგლისის თასების ფინალები სწორედ აქ იმართება) კვლავ თამაშის იმედი ჰქონდათ, მაგრამ...

**ნიუკასლი 1:0 შეფილდ იუნ.**

ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, ალბერი, პირსი, დაბიზასი, გილესპი, ბეტი, ბარნსი, სპიდი, ანდერსონი (ქეცბაია 73), შირერი
შეფილდი: კელი, ბორბოკისი, ჰოლდვორსი, სენდფორდი, ნილსენი, ქუინი, მარკერი (დელასი 77), სტიუარტი, ფორდი, სონდერსი (კაჩურო 74), მარსელო (ტეილორი 63)
1:0 შირერი (60)

— დროა ვაღიაროთ, რომ ამ სეზონში „ნიუკასლი" ძალიან შერცხვა. მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ასე გაგვიჭირდებოდა პრემიერლიგაში. კლუბის დაღმასვლა გარკვეულწილად ჩემი დამსახურებაცაა და დამნაშავედაც მივიჩნევ თავს, მაგრამ მინდა, ჩემი გულისწადილი გაგანდოთ. არ დავმალავ: ეს სეზონი აუცილებლად რაიმე გამარჯვებით უნდა აღვნიშნოთ — ახლა ჩვენი მთავარი მიზანი თასის მოგებაა. ნიუკასლელთა თავკაცი კენი დალგლიში გულახდილი და ამავდროულად კატეგორიულიც გახლდათ.

მაშ, ასე. „ნიუკასლმა" პრემიერლიგაზე ხელი ჩაიქნია (ცხადია, ლიგიდან გავარდნა არ იგულისხმება) და უმთავრეს მიზნად თასის გათამაშებაში გამარჯვება დაისახა.

შეძლებენ „ჯორდები" (ნიუკასლელთა მეტსახელია) „უემბლიზე" თითქმის მასპინძელ. „არსენალის" დამარცხებას? ძნელი სათქმელია. მეტოქეთა დღევანდელი ფორმიდან და სათამაშო კონდიციებიდან გამომდინარე, საეჭვოა, წყალწაღებულმა ჩრდილოინგლისელებმა დუბლისთვის მებრძოლ „არსენალს" სძლიონ. მავანმა შეიძლება იფიქროს, „არსენალი" უფრო ჩემპიონობისთვის იბრძოლებს და თასზე მაინცდამაინც თავს არ მოიკლავსო, მაგრამ ეს აზრი რომ მცდარია, ამას წყალი არ გაუვა. პრემიერლიგა მაისის შუა რიცხვებში დასრულებული იქნება — თასზე კი ერთი თამაშია და სადაც გუნდმა ორმოცამდე დაძაბულ შეხვედრას გაუძლო, იქ ერთის ჩატარებაც არ იქნება მაინცდამაინც ძნელი საქმე.

# მესამედ?


REUTERS

არსენალი — ვულვზი. გამარჯვებულთა ფრანგმა მცველმა ემანუელ პეტიმ (მარჯვნივ) თანამემამულე მწვრთნელს იმედები გაუმართლა

— თასი ნიუკასლში უნდა დაბინავდეს, გამარჯვებისთვის თავს არ დავზოგავთ. ჩემპიონატში თამაში არ წაგვივიდა, შელახული პრესტიჟის აღსადგენად კი, თასის მოგება გვესაჭიროება — ერთადერთი გოლის ავტორი ალან შირერი, რომლისთვისაც კელის კარში შეგდებული გოლი ამ გათამაშებაში მეხუთე იყო, ძალიან გახარებული გახლდათ.

შეხვედრა, რომელიც ნეიტრალურ მინდორზე — მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" შედგა, საკმაოდ საინტერესო გამოდგა. მოგეხსენებათ, ასოციაციის თასი ოლიმპიური სისტემით თამაშდება, რაც წაგების საშიშროებას კიდევ უფრო ზრდის. ამიტომ გუნდები მხოლოდ და მხოლოდ მეტოქის დასამარცხებლად გადიან მინდორზე. ასეთ შემთხვევაში კი ხშირად ერთი შეცდომა წყვეტს მატჩის ბედს. პირველდივიზიონელები, კერძოდ, მათი მეკარე ალან კელი, ერთხელ შეცდა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მათ გასავარდნად.

1974 წლის შემდეგ „ნიუკასლი" პირველად გავიდა ასოციაციის თასის ფინალში, სადაც 16 მაისს ლონდონელ „მეთოფეებს" დაუპირისპირდება. სხვათა შორის, ფინალში ეს „არსენალისა" და „ნიუკასლის" მესამე შეხვედრა იქნება — 1932 და 1952 წლებში „ნიუკასლმა" ორჯერ სძლია „არსენალს".

# დორტმუნდი ევროპას შორდება

## გერმანია

XXIX ტური

**კარლსრუე 0:2 ჰერტა**
0:1 პრიტცი (47), 0:2 არნოლდი (90)

**დუისბურგი 1:1 კაიზერი**
0:1 მარშალი (40), 1:1 ჰაიტო (65)

**ლევერკუზენი 1:1 გლადბახი**
1:0 კირსტენი (49), 1:1 პეტერსონი (51)

**მიუნხენი 1:1 ჰამბურგი**
0:1 პანადიჩი (38), 1:1 ჰობში (54)

**ვერდერი 0:3 ბაიერნი**
0:1, 0:2 შოლი (73, 61), 0:3 იანკერი (81)

**ბოხუმი 3:0 შალკე**
1:0 მიხალკე (45), 2:0 ბასტურკი (74), 3:0 მამიჩი (87)

**ჰანზა 3:1 დორტმუნდი**
0:1 შაპუიზა (18), 1:1 მაიაკი (54), 2:1 პამიჩი (60), 3:1 ლანგე (82)

**არმინია 0:1 ვოლფსბურგი**
0:1 კოვაჩევიჩი (85)

**შტუტგარტი 1:1 კიოლნი**
1:0 ლისტეში (66), 1:1 პოლსტერი (83)

გერმანელთა ნაკრების მოთამაშის მე-ჰმეთ შოლის ორმა გოლმა მიუნხენის „ბაიერნს“ ბრემენში გამარჯვების საფუძველი ჩაუყრევინა, კარსტენ იანკერმა კი თამაშის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე საქმე დაასრულა — მესამე შეაგდო.

— ამ გამარჯვებამ ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი შეგვინარჩუნა — თქვა თამაშის შემდეგ პრესკონფერენციაზე ბავარიელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ.


ვერდერი — ბაიერნი. მეჰმეთ შოლს (მარცხნივ) მიჰაელ ტარნატმა დუბლი პირველმა მიულოცა

REUTERS ბრემენიდან

„ბაიერნმა“ ამ დღეს შეძლო ის, რაც 1979-80 წლების სეზონის შემდეგ ვერ მოეხერხებინა — ლიგის ანუ ჩემპიონატის მატჩში დაამარცხა „ვერდერი“.

მიუნხენის ტიტულოვან გუნდს პირველობისთვის „კაიზერსლაუტერნის“ ჩამოტოვება სჭირდება, მაგრამ „კაიზერს“ თამაშით ნაკლები აქვს. ეს, ბუნებრივია, მის წისქვილზე ასხამს წყალს და სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ იგი გახდება პირველი გუნდი, რომელიც მეორე ბუნდესლიგიდან პირველში ასვლისთანავე ჩემპიონი გახდება. ამ ტურში „კაიზერმა“ ფრედ ითამაშა დუისბურგში.

შოლმა კი პირველი გოლი პენალტით გაიტანა, ხოლო მეორე ტაიმში მიხაელ ტარნატის პასი მიიღო და ახლო მანძილიდან მეორე შეაგდო. ამას „ვერდერმა“ ღონიერ შეტევათა ნაკადი მოაყოლა, მიუნხენელებმა კი კონტრშეტევა ჩაიფიქრეს. ასეთი სურათიდან გამომდინარე იანკერის გოლი სრულიად ბუნებრივი ჩანდა.

— ფეხბურთელებს ვთხოვეთ ისევე ეთამაშათ, „შტუტგარტთან“ რომ ითამაშეს — მოიგონა ტრაპატონიმ ორი კვირის წინანდელი ამბავი — ველოდი, რომ ისინი გამიმართლებდნენ და მართალიც აღმოვჩნდი, გამიმართლეს.

ტრაპატონის არაფრით აწყობდა ის შედეგი, რომელსაც მისმა გუნდმა წინა ტურში მიაღწია, თან შინ: 1:1 „კარლსრუესთან“. საქმე ის გახლავთ, რომ ამ თავმოყვარე გუნდისთვის სულ მცირე მეორე ადგილზე გასვლა აუცილებელია, რათა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს. ამიტომაც იყო ასე სასიამოვნო ცნობა ლევერკუზენიდან, სადაც მესამე ადგილზე მიმავალმა „ბაიერმა“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ვერ მოუგო — 1:1. ახლა ლევერკუზენის გუნდი „ბაიერნს“ ხუთი ქულით ჩამორჩება.

49-ე წუთი იყო, როდესაც ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის ბომბარდირთა ლიდერმა ულფ კირსტენმა ანგარიში გახსნა და თავისი მე-20 გოლი შეაგდო, მაგრამ მიონხენგლადბახელ იორგენ პეტერსონს გასათანაბრებლად ორი წუთი ეყო.

— თუ ასე გავაგრძელებთ, ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრს თავი უნდა დავანებოთ და უეფას თასზე გამსვლელ ადგილს დავჯერდეთ — უკმაყოფილო იყო ლევერკუზენის მწვრთნელი კრისტოფ დაუმი — იმედი არ გადამიწურავს, გამორიცხული არაა, რომ მაინც შევძლოთ ჩემპიონატის მეორე ადგილზე დამთავრება, მაგრამ საამისოდ დღევანდელზე უკეთ უნდა ვითამაშოთ. ვფიქრობ, ჩემი ფეხბურთელები ამას მიხვდებიან.

ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისტს დორტმუნდის „ბორუსიას“ კი საქმე კვლავ ცუდად მიუდის. ამჯერადაც მარცხი იწვნია ყვითელფორმიანმა გუნდმა. მიუხედავად იმისა, რომ როსტოკში, „ჰანზასთან“ მატჩში ანგარიში შტეფან შაპუიზამ გახსნა, შესვენების შემდეგ მასპინძლებმა სლავომირ მაიაკმა, იგორ პამიჩმა და ტიმო ლანგემ დორტმუნდელებს სამი გოლით უპასუხეს და მოიგეს.

— პირველ ტაიმში ორი ან სამი გოლის გატანა შეგვეძლო, მეორეში კი ჩემი მოთამაშეები გადაღლილნი იყვნენ. მას მერე, რაც მადრიდში გადაგვხდა, ეს სრულიად არ მიკვირს — აღნიშნა პრესკონფერენციაზე „ბორუსიას“ იტალიელმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ.

შეგახსენებთ, რომ გასულ ოთხშაბათს, მადრიდში, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური მატჩი „რეალსა“ და „ბორუსიას“ შორის 75 წუთით გვიან დაიწყო, რადგან ესპანელ გულშემატკივართა მოჭარბებულმა ენერგიამ საფეხბურთო კარის ძირში გადატეხვა გამოიწვია.

— სამწუხაროდ, დღეს ბუნდესლიგაში მეხუთე ადგილზე გასასვლელად უკანასკნელი შანსი გავუშვით ხელიდან — დასძინა სკალამ, რომლის გუნდსაც მომავალ ევროთასებზე მონაწილეობისთვის ერთადერთ გამოსავლად ალბათ „რეალის“ ძლევა და შემდეგ ჩემპიონთა თასის მოპოვება რჩება.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 28 | 17 | 7 | 4 | 50:31 | 58 |
| ბაიერნი | 29 | 16 | 7 | 6 | 56:31 | 55 |
| ლევერკუზენი | 28 | 13 | 11 | 4 | 56:31 | 50 |
| შალკე | 28 | 11 | 12 | 5 | 32:25 | 45 |
| ჰანზა | 29 | 12 | 7 | 10 | 42:35 | 43 |
| შტუტგარტი | 29 | 11 | 9 | 9 | 45:41 | 42 |
| ჰერტა | 28 | 11 | 6 | 11 | 36:42 | 39 |
| დორტმუნდი | 28 | 10 | 8 | 10 | 49:44 | 38 |
| ვერდერი | 29 | 10 | 8 | 11 | 36:46 | 38 |
| დუისბურგი | 29 | 9 | 9 | 11 | 35:40 | 36 |
| კიოლნი | 28 | 10 | 5 | 13 | 44:52 | 35 |
| ვოლფსბურგი | 29 | 10 | 5 | 14 | 34:42 | 35 |
| ბოხუმი | 28 | 9 | 7 | 12 | 34:39 | 34 |
| ჰამბურგი | 29 | 8 | 10 | 11 | 33:40 | 34 |
| მიუნხენი | 29 | 8 | 8 | 13 | 35:47 | 32 |
| კარლსრუე | 29 | 7 | 9 | 13 | 38:51 | 30 |
| გლადბახი | 29 | 6 | 11 | 12 | 43:50 | 29 |
| არმინია | 28 | 7 | 5 | 16 | 33:44 | 26 |

### მეორე ბუნდესლიგა

25-ე ტური. აინტრახტი — კარლ ცაისი 2:2; ცვიკაუ — დიუსელდორფი 0:1; მეპენი — ფრაიბურგი 0:5; ზანქტ პაული — კიკერსი 0:0; გიუტერსლო — ფორტუნა 1:0; ფიურტი — კოტბუსი 1:0; მაინცი — ვატენშაიდი 1:3; ურდინგენი — ლაიფციგი 0:1; უნტერჰახინგი — ნიურნბერგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | 25 | 13 | 9 | 3 | 38:23 | 48 |
| ნიურნბერგი | 24 | 15 | 2 | 7 | 38:21 | 47 |
| ფრაიბურგი | 25 | 13 | 4 | 8 | 43:29 | 43 |
| გიუტერსლო | 24 | 9 | 10 | 5 | 27:21 | 37 |
| დიუსელდორფი | 25 | 10 | 7 | 8 | 40:36 | 37 |
| ზანქტ პაული | 25 | 9 | 10 | 6 | 30:28 | 37 |
| ურდინგენი | 25 | 9 | 8 | 8 | 24:23 | 35 |
| უნტერჰახინგი | 24 | 8 | 8 | 8 | 29:21 | 32 |
| კოტბუსი | 25 | 7 | 11 | 7 | 26:25 | 32 |
| ფორტუნა | 25 | 7 | 11 | 7 | 37:37 | 32 |
| ფიურტი | 25 | 8 | 8 | 9 | 21:24 | 32 |
| ლაიფციგი | 24 | 9 | 5 | 10 | 26:38 | 32 |
| ვატენშაიდი | 25 | 8 | 7 | 10 | 30:27 | 31 |
| მაინცი | 25 | 5 | 12 | 8 | 38:41 | 27 |
| კიკერსი | 24 | 7 | 5 | 12 | 31:38 | 26 |
| კარლ ცაისი | 24 | 6 | 7 | 11 | 26:39 | 25 |
| მეპენი | 24 | 5 | 8 | 11 | 29:43 | 23 |
| ცვიკაუ | 24 | 3 | 8 | 13 | 17:36 | 17 |

## იტალია

XXVIII ტური

**ატალანტა 0:1 რომა**
0:1 დი ფრანჩესკო (3)

**ბარი 1:0 მილანი**
1:0 მასინგა (81)

**ბოლონია 2:0 უდინეზე**
1:0 შალიმოვი (1), 2:0 კოლივანოვი (43)

**ემპოლი 3:1 ბრეშა**
0:1 უბნერი (133), 1:1 ესპოზიტო (40), 2:1 პანე (45), 3:1 ფლორიანჩიჩი (47)

**ინტერი 3:0 სამპდორია**
1:0 კოე (50), 2:0 სარტორი (52), 3:0 რონალდო (87)

**ლაციო 0:1 იუვენტუსი**
0:1 ინძაგი (60)

**ნაპოლი 1:2 პიაჩენცა**
0:1 შიენცა (33), 1:1 ბელუჩი (51), 1:2 დიონიჯი (823)

**პარმა 1:2 ფიორენტინა**
0:1 ედმუნდო (54), 1:1 კრესპო (58), 1:2 რუი კოშტა (76)

**ვიჩენცა 1:3 ლეჩე**
0:1, 0:2 პალმიერი (30, 55), 1:2 ლუიზო (89), 1:3 პიანჯეოელი (90)

„სან სიროზე“ ფრანგმა ბენუა კოემ და იტალიელმა ლუიჯი სარტორმა ორ წუთში ორი გოლი გაიტანეს, შემდეგ ბრაზილიელმა რონალდომ მესამე დაამატა და „ინტერმა“ 3:0 მოუგო „სამპდორიას“. მილანელ შავ-ლურჯთა ზედიზედ მეოთხე გამარჯვებამ მათ 28 შეხვედრიდან 59-ე ქულა მოუტანა.

— სეზონის ამ ეტაპზე, როდესაც თითოეული შეხვედრა საგანგებოდ დაძაბული ხდება, გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ — თქვა მატჩის შემდეგ „ინტერის“ მწვრთნელმა ლუიჯი სიმონიმ, რომელმაც დასძინა, რომ გუშინდელი ტურის გვიან შეხვედრაში, „ლაციო“ — „იუვენტუსი“ მისთვის საოცნებო ანგარიში ფრე გახლდათ.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა გულშემატკივართა ბარაქიანი სტვენა დაიმსახურეს, რადგან იშვიათად აწუხებდნენ მეტოქის გოლკიპერს, მათმა მეკარემ ჯანლუკა პალიუკამ კი გენუელ ალან ბოგოსიანს საუცხოოდ აული ძნელად მოსაგერიებელი დარტყმა.

მეორე ტაიმი რომ დაიწყო, ხუთი წუთი იყო გასული, როდესაც რონალდომ 30 მეტრიანი დრიბლინგით მაყურებელი ფეხზე წამოახტუნა. დრიბლინგმა „სამპდორიას“ დაცვის ხაზი გაარღვია და კოეს ანგარიში გაახსენეინა. გამოხდა ორი წუთი და სარტორმა უძლიერესი დარტყმით მეორედ მიაღწია მიზანს.

დაბოლოს, საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე ბრაზილიელმა ზე ელიასმა თანამემამულე რონალდოს მეკარე მარკო ამბროზიოლა დაუტოვა მოსატყუებლად — 3:0.

ეუსებიო და ფრანჩესკოს გამარჯვების გოლმა კი „რომას“ ბერგამოში „ატალანტასთან“ მოაგებინა და მეოთხე ადგილზე აიყვანა. ახლა „რომა“ „უდინეზეს“ ბურთების სხვაობით სჯობს, რადგან უდინეს გუნდმა რობერტო ბაჯოს „ბოლონიასთან“ წააგო. ეს „უდინეზესთვის“ ზედიზედ მეორე დამარცხება იყო.

ერთიხანია ედმუნდო „ფიორენტინას“ დაუბრუნდა და სწორედ ის გახლდათ ორი გენიალური გაბრწყინებით ფლორენციელებს „პარმას“ წინააღმდეგობა რომ დააძლევინა. პირველ ეპიზოდში ბრაზილიელმა ბუფონის კარში გოლის გასატანად ნახევარი მოედანი გაიდრიბლინგა, შემდეგ კი, მას მერე, რაც კრესპომ გაუთანაბრა, ედმუნდომ ნესტორ სენსინი მოატყუა და რუი კოშტას გააქვითინა ანგარიში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 28 | 17 | 9 | 2 | 59:25 | 60 |
| ინტერი | 28 | 18 | 5 | 5 | 53:22 | 59 |
| ლაციო | 28 | 16 | 7 | 5 | 48:18 | 55 |
| რომა | 28 | 13 | 10 | 5 | 49:33 | 49 |
| უდინეზე | 28 | 14 | 7 | 7 | 49:34 | 49 |
| ფიორენტინა | 28 | 12 | 11 | 5 | 53:30 | 47 |
| პარმა | 28 | 12 | 10 | 6 | 44:31 | 46 |
| მილანი | 28 | 10 | 9 | 9 | 33:32 | 39 |
| ბოლონია | 28 | 9 | 10 | 9 | 42:38 | 37 |
| სამპდორია | 28 | 10 | 7 | 11 | 42:50 | 37 |
| ემპოლი | 28 | 8 | 6 | 14 | 39:45 | 30 |
| ბარი | 28 | 8 | 6 | 14 | 25:38 | 30 |
| ვიჩენცა | 28 | 8 | 6 | 14 | 30:53 | 30 |
| პიაჩენცა | 28 | 5 | 14 | 9 | 20:31 | 29 |
| ბრეშა | 28 | 7 | 7 | 14 | 37:47 | 28 |
| ატალანტა | 28 | 5 | 10 | 13 | 21:40 | 25 |
| ლეჩე | 28 | 5 | 6 | 17 | 27:60 | 21 |
| ნაპოლი | 28 | 2 | 6 | 20 | 20:64 | 12 |

### სერია B

28-ე ტური. სალერნიტანა — კალიარი 1:0; ანკონა — პერუჯა 2:2; დი სანგრო — მონცა 1:1; კიევო — პადოვა 1:1; ფოჯა — ვერონა 0:0; ჯენოა — პესკარა 4:0; რავენა — რეჯინა 2:2; რეჯანა — ლუკეზე 3:0; ტორინო — ფ.ანრია 2:1; ვენეცია — ტრევიზო 0:0

## ესპანეთი

XXXII ტური

**ბარსელონა 2:1 ოვიედო**
1:0 ლუის ენრიკე (32), 2:0 რივალდო (41), 2:1 ბოგარდი (68ს.კ.)

**დეპორტივო 2:0 ბეტისი**
1:0 ჯალმინია (51), 2:0 ბასირი (81)

**რეალი 0:0 ბილბაო**

**სოსიედადი 1:1 სალამანკა**
1:0 დე პედრო (45), 1:1 ბრიტო (84)

**ვალენსია 4:1 ატლეტიკო**
1:0 ილიე (58), 2:0, 3:0 მენდიეტა (68 723), 3:1 კიკო (75), 4:1 კ. ლოპესი (76)

**სპორტინგი 1:0 ესპანიოლი**
1:0 ჩერიშევი (66)

**ტენერიფე 0:0 სარაგოსა**

**მალიორკა 1:0 მერიდა**
1:0 მენა (213)

**რასინგი 2:1 სელტა**
0:1 ხუან სანჩესი (52), 1:1 კორეა (69), 2:1 ბესჩასტნიხი (75)

**ვალიადოლიდი 4:1 კომპოსტელა**
1:0 ფერნანდესი (4), 2:0 კლიმოვიჩი (33), 3:0 პეტერნაჩი (35), 3:1 პენევი (45), 4:1 კანაბალი (88)

გუშინ „მალიორკამ“ „მერიდასთან“ 1:0 გამარჯვებით მეოთხე ადგილზე ასვლა მოახერხა. იგი ისტორიაში პირველად რომელიმე ევროტურნირში მიიღებს მონაწილეობას. კუნძულელები გარდა იმისა, რომ ალბათ უეფას თასის საგზურს მოიპოვებენ, არაა გამორიცხული, მეორე ადგილზე გავიდნენ (თუ „რეალმა“ უნიათო სვლა განაგრძო) და სულაც ჩემპიონთა თასზე თამაშს გამოჰკრან ხელი. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ „მალიორკა“ ქვეყნის თასის ფინალშია, სადაც 29 აპრილს „ბარსელონას“ უნდა შეხვდეს, ასე რომ...

„მალიორკასა“ და „მერიდას“ თამაშის ერთდაერთი გოლი პირველ ტაიმში ოსკარ მენას მიერ დარტყმული პენალტის შემდეგ გავიდა, არადა, გამარჯვებულებს რამდენიმე ერთი შეხედვით უეჭველი საგოლე მომენტი კიდევ ჰქონდათ.

„რეალ სოსიედადი“ გაჭირვებულ „სალამანკასთან“ 1:1-ის მიუხედავად მესამე ადგილზე დარჩა. სან სებასტიანელთა გოლი პირდაპირ კუთხურიდან ტაიმთა გასაყარზე ფრანსისკო დე პედრომ გაიტანა. დე პედროს ჩაწოდებული ბურთი სტუმართა გოლკიპერის რუმინელი ბოგდან სტელიას თითებს თუ არ ჩავთვლით, არავის შეხებია.

მეორე ტაიმში „სოსიედადი“ ათ კაცამდე შემცირეს, მოედნიდან გააძევეს თამაშის გმირი დე პედრო.

საპასუხო გოლი თამაშის მიწურულს გავიდა. „სოსიედადის“ მცველმა ხოსე ანტონიო პიკაბეამ მარტივ ვითარებაში ვერ შეძლო ბურთის უკუგდება და სეზარ ბრიტოს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა.

შაბათს „ოვიედოსთან“ გამარჯვების შემდეგ პრიმერა დივიზიონის ცხრილს კვლავ „ბარსელონა“ ლიდერობს, მაგრამ მწვრთნელებით მუდამ უკმაყოფილო კატალონიელებს ახლა ლუის ვან გაალი აღარ მოსწონთ და ისევ ბობი რობსონის დაბრუნებას ცდილობენ.

ცხრილის ფსკერზე კი ჟველა გაარცა ხიხონის „სპორტინგმა“, რომელმაც სეზონის მეორე გამარჯვება მოიპოვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 31 | 20 | 4 | 7 | 68:42 | 64 |
| რეალი | 32 | 15 | 11 | 6 | 54:37 | 56 |
| სოსიედადი | 32 | 13 | 13 | 6 | 50:31 | 52 |
| მალიორკა | 32 | 14 | 10 | 8 | 46:30 | 52 |
| სელტა | 32 | 15 | 6 | 11 | 45:39 | 51 |
| ბილბაო | 32 | 13 | 12 | 7 | 43:41 | 51 |
| ბეტისი | 31 | 14 | 8 | 9 | 41:39 | 50 |
| ვალენსია | 32 | 14 | 6 | 12 | 48:35 | 48 |
| ატლეტიკო | 32 | 12 | 11 | 9 | 64:48 | 47 |
| ესპანიოლი | 32 | 10 | 13 | 9 | 37:27 | 43 |
| ვალიადოლიდი | 32 | 12 | 7 | 13 | 35:45 | 43 |
| დეპორტივო | 32 | 10 | 12 | 10 | 36:34 | 42 |
| სარაგოსა | 32 | 10 | 11 | 11 | 39:48 | 41 |
| ოვიედო | 32 | 8 | 13 | 11 | 32:39 | 37 |
| მერიდა | 32 | 9 | 9 | 14 | 30:45 | 36 |
| სალამანკა | 32 | 9 | 8 | 15 | 31:41 | 35 |
| რასინგი | 32 | 9 | 8 | 15 | 40:51 | 35 |
| კომპოსტელა | 32 | 8 | 10 | 14 | 42:55 | 34 |
| ტენერიფე | 32 | 8 | 10 | 14 | 33:49 | 34 |
| სპორტინგი | 32 | 2 | 6 | 24 | 26:64 | 12 |

### მეორე დივიზიონი

35-ე ტური. ოსასუნა — სევილია 3:0; ნუმანსია — ლეიდა 1:0; ლას პალმასი — ორენსე 2:0; ეიბარი — ხაენი 0:0; ალბასეტე — სერესი 1:0; ტოლედო — ელჩე 2:0; ვილიარეალი — ესტრემადურა 0:2; რაიო — ბადახოსი 4:3; ერკულესი — ლოგრონიესი 1:2; ლევანტე — ატლეტიკო 2:1; ალავესი — ლეგანესი 3:0

## საფრანგეთი

# დებიუტი სტად დე ფრანსზე

ლიგის თასის ფინალი

**პსჟ 2:2 ბორდო**
**(დ.დ. 1:1, პენ. 4:2)**
0:1 მიკო (60), 1:1 სიმონე (80), 2:1 რაი (107), 2:2 პაპენი (115)

თითქმის ერთი თვის წინ, აპრილის შუა რიცხვებში, ამავე თასის ფინალში „ბორდო“ პენალტების სერიაში მარცხდება „სტრასბურთან“. ახლაც წაგება და თან კვლავ პენალტებში. ეტყობა, ბორდოელებმა შარშან დაშვებული შეცდომები ვერ გამოასწორეს.

— ეს თასი რომ არ მოგვეგო, ჩავთვლიდი, რომ სეზონი ჩავაგდეთ. ისეთი გუნდისთვის, როგორიც პსჟ-ა, ყოველი სეზონი რაიმე თასით უნდა დამშვენდეს, წელს ჩემპიონატში საქმე ცუდად წაგვივიდა, მაგრამ ლიგის თასის მოგებამ თითქოს გააქარწყლა გულსმოწოლილი დარდი — იტყვის მატჩის შემდგომ პარიზელთა მწვრთნელი, ბრაზილიელი რიკარდო, რომლის გუნდმაც საგანგებოდ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აგებულ „სტად დე ფრანსზე“ კლუბებს შორის გამართულ პირველ შეხვედრაში იმარჯვა.

პსჟ-მ მოიგოო, ვამბობთ, მაგრამ მათი ბრძოლა ბორდოელებთან ფრედ დასრულდა 2:2. დედაქალაქელებმა ლიგის თასი ზუსტად შესრულებული პენალტების წყალობით მოიპოვეს, მეტოქემ კი...

მატჩის დაწყებიდან დაახლოებით ერთი საათი იყო გასული, როცა „ბორდოს“ გამთამაშებელმა იოჰან მიკუმ, მას შემდეგ, რაც სილვიან ვილტორისგან მახვილგონივრული გადაცემა მიიღო, მეტოქეთა კარის დარაჯი ვინსენ ფერნანდესი გააცურა და ანგარიში გახსნა.

თითქოს ბორდოელთა გამარჯვებას წინ არაფერი უდგას, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მათ კარში პენალტი ინიშნება. პარიზელთა გულშემატკივრები წინასწარ ზეიმობენ, მაგრამ სტუმართა კარში იმედიანად მდგარი ულრიხ რიმე რაის დარტყმულს იგერიებს. ბორდოელები მაინც დამწუხრდნენ — მეკარის მოგერიებულ ბურთთან უმალ ჩნდება პატრის ლოკო და სიმონეს აწვდის — 1:1.

დამატებით დროში კიდევ თითო-თითო გოლი გავიდა, პენალტების სერიაში კი ბორდოელებმა — პაულო გრელეკმა და ჟან პიერ პაპენმა პირველი ორი დარტყმა ვერ გამოიყენეს, ეს კი მასპინძელთათვის საკმარისი აღმოჩნდა.


გამარჯვებული პარიზელები ლიგის თასით

REUTERS პარიზიდან

## ბელგია

28-ე ტური. ბევერენი — გენკი 0:2; ანტვერპენი — ლიერსი 3:2; აალსტი — ანდერლეხტი 2:3; მოლენბეკი — გენტი 0:2; ლომელი — ეკერენი 1:1; ვესტერლო — მუსკრონი 2:1; ბრიუგე — შარლერუა 3:2; ჰარელბეკი — სტანდარდი 2:0; სენტ ტრუიდენი — ლოკერენი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 28 | 23 | 4 | 1 | 64:23 | 73 |
| გენკი | 28 | 19 | 4 | 5 | 60:29 | 61 |
| ჰარელბეკი | 28 | 13 | 9 | 6 | 45:27 | 48 |
| ეკერენი | 28 | 14 | 6 | 8 | 51:40 | 48 |
| ანდერლეხტი | 28 | 13 | 7 | 8 | 46:33 | 46 |
| ლოკერენი | 28 | 14 | 2 | 12 | 57:56 | 44 |
| ლიერსი | 28 | 12 | 6 | 10 | 45:37 | 42 |
| ლომელი | 28 | 10 | 7 | 11 | 42:42 | 37 |
| გენტი | 28 | 8 | 12 | 8 | 39:37 | 36 |
| სტანდარდი | 28 | 8 | 10 | 10 | 38:38 | 34 |
| ვესტერლო | 28 | 8 | 10 | 10 | 41:46 | 34 |
| სტ. ტრუიდენი | 28 | 8 | 10 | 10 | 26:31 | 34 |
| აალსტი | 28 | 8 | 7 | 13 | 42:53 | 31 |
| შარლერუა | 28 | 8 | 7 | 13 | 39:52 | 31 |
| მუსკრონი | 28 | 7 | 7 | 14 | 30:41 | 28 |
| ბევერენი | 28 | 5 | 8 | 15 | 23:44 | 23 |
| მოლენბეკი | 28 | 6 | 4 | 18 | 29:65 | 22 |
| ანტვერპენი | 28 | 5 | 6 | 17 | 29:52 | 21 |

## პორტუგალია

28-ე ტური. სპორტინგი — ლეცა 2:0; ბრაგა — ამადორა 1:1; ბოავიშტა — სალგეირუში 3:0; ფარენსე — პორტუ 1:2; რიუ ავე — კამპომაიორენსე 1:1; შავეში — ვარზიმი 2:1; გიმარაეში — მარიტიმუ 0:0; ბენფიკა — ბელენენსეში 2:1; აკადემიკა — სეტუბალი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 28 | 20 | 5 | 3 | 59:27 | 65 |
| ბენფიკა | 28 | 16 | 7 | 5 | 47:25 | 55 |
| ბოავიშტა | 28 | 12 | 10 | 6 | 42:25 | 46 |
| გიმარაეში | 28 | 13 | 7 | 8 | 34:20 | 46 |
| სპორტინგი | 28 | 12 | 9 | 7 | 34:24 | 45 |
| ამადორა | 28 | 12 | 8 | 8 | 37:31 | 44 |
| მარიტიმუ | 28 | 12 | 8 | 8 | 32:26 | 44 |
| სალგეირუში | 28 | 10 | 9 | 9 | 36:31 | 39 |
| რიუ ავე | 28 | 10 | 9 | 9 | 34:33 | 39 |
| ლეცა | 28 | 10 | 5 | 13 | 27:40 | 35 |
| კამპომაიორ. | 28 | 9 | 7 | 12 | 40:44 | 34 |
| ბრაგა | 28 | 7 | 11 | 10 | 36:41 | 32 |
| სეტუბალი | 28 | 8 | 7 | 13 | 29:34 | 31 |
| აკადემიკა | 28 | 7 | 10 | 11 | 23:32 | 31 |
| ფარენსე | 28 | 6 | 12 | 10 | 34:41 | 30 |
| ვარზიმი | 28 | 6 | 10 | 12 | 24:39 | 28 |
| შავეში | 28 | 6 | 4 | 18 | 24:51 | 22 |
| ბელენენსეში | 28 | 3 | 8 | 17 | 16:44 | 17 |

## ავსტრია

28-ე ტური. ადმირა ვაკერი — ლუსტენაუ 3:0; გრაცი — ტიროლი 1:2; რაპიდი — ლინცი 2:1; რიდი — აუსტრია 3:1; ზალცბურგი — შტურმი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 28 | 20 | 7 | 1 | 64:20 | 67 |
| გრაცი | 28 | 14 | 6 | 8 | 42:26 | 48 |
| რაპიდი | 28 | 12 | 7 | 9 | 31:34 | 43 |
| ლინცი | 28 | 12 | 4 | 12 | 50:44 | 40 |
| ტიროლი | 28 | 10 | 8 | 10 | 37:39 | 38 |
| ზალცბურგი | 28 | 10 | 7 | 11 | 35:30 | 37 |
| აუსტრია | 28 | 10 | 7 | 11 | 35:38 | 37 |
| რიდი | 28 | 9 | 7 | 12 | 32:40 | 34 |
| ლუსტენაუ | 28 | 4 | 11 | 13 | 27:45 | 23 |
| ადმირა ვაკერი | 28 | 5 | 4 | 19 | 29:66 | 19 |

## შვეიცარია

მე-6 ტური. სტ გალენი — არაუ 2:0; გრასჰოპერი — სიონი 5:2; ლუცერნი — ლოზანა 1:0; სერვეტი — ციურიხი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 6 | 3 | 1 | 2 | 16:11 | 33 |
| სერვეტი | 6 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 32 |
| ციურიხი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 26 |
| ლოზანა | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 26 |
| სენტ გალენი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 24 |
| არაუ | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 23 |
| ლუცერნი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:10 | 21 |
| სიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:13 | 20 |

## ისრაელი

25-ე ტური. ჰაპოელი (თელ ავივი) — ბეითარი (იერუსალიმი) 0:1; მაკაბი (ჰერცლია) — ჰაპოელი (ჰაიფა) 1:1; მაკაბი (ჰაიფა) — ირონი (აშდოდი) 0:0; ჰაპოელი (ფეთაჰ თიქვა) — ჰაპოელი (ბეერშევა) 1:2; ჰაპოელი (ბეით შეანი) — ჰაპოელი (ქვარ სავა) 2:1; ჰაპოელი (იერუსალიმი) — მაკაბი (თელ ავივი) 1:1; ჰაპოელი (აშქელონი) — ირონი (რიშონი) 0:2, ბნეი იეჰუდა (თელ ავივი) — მაკაბი (ფეთაჰ თიქვა) 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეითარი | 25 | 16 | 8 | 1 | 62:28 | 56 |
| ჰ. თელ ავივი | 25 | 17 | 5 | 2 | 30:11 | 56 |
| ჰ. ჰაიფა | 25 | 13 | 9 | 3 | 48:22 | 48 |
| მ. ჰაიფა | 25 | 13 | 6 | 6 | 42:28 | 45 |
| ჰ. ფეთაჰ თიქვა | 25 | 9 | 6 | 10 | 33:34 | 33 |
| ი. აშდოდი | 25 | 8 | 9 | 8 | 33:38 | 33 |
| ჰ. ქვარ სავა | 25 | 8 | 7 | 10 | 30:32 | 31 |
| ჰ. იერუსალიმი | 25 | 7 | 10 | 8 | 30:34 | 31 |
| ი. რიშონი | 25 | 8 | 6 | 11 | 32:38 | 30 |
| მ. ფეთაჰ თიქვა | 25 | 6 | 11 | 8 | 21:24 | 29 |
| მ. ჰერცლია | 25 | 7 | 8 | 10 | 29:33 | 29 |
| ჰ. ბეით შეანი | 25 | 7 | 7 | 11 | 27:37 | 28 |
| მ. თელ ავივი | 25 | 6 | 9 | 10 | 27:30 | 27 |
| ჰ. ბეერშევა | 25 | 5 | 8 | 12 | 30:49 | 23 |
| ბნეი იეჰუდა | 25 | 5 | 7 | 13 | 18:33 | 22 |
| ჰ. აშქელონი | 25 | 4 | 6 | 15 | 19:39 | 18 |

**იტალიის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, „სამპდორიას" მოთამაშე ჯუზეპე სინიორიმ ხერხემალი დაიზიანა და სავარაუდოა, რომ ოპერაცია დასჭირდება. შესაძლოა მან სეზონის დარჩენილი ნაწილიც გამოტოვოს. სინიორიმ ტკივილი წინა ტურში, „ბოლონიასთან" 2:3 წაგებული შეხვედრის დროს იგრძნო. იგი იმ მატჩში სათადარიგოდ შევიდა მოედანზე. ექიმების აზრით დღევანდელი ტრავმა სამი წლის წინანდელი ამბის გამოძახილია. იმხანად თავდამსხმელი ჯერ კიდევ „ლაციოში" თამაშობდა და ერთ-ერთ შეხვედრაში ზურგი დაიშავა. მოგეხსენებათ სინიორიმ რომაული გუნდი გასული წლის მიწურულს დასტოვა. მიზეზი ის იყო, რომ ახალი მწვრთნელის, შვედი სვენ გორან ერიკსონის ხელში ფორვარდი სათადარიგო ფეხბურთელად იქცა, არადა „ლაციოში" გატარებული ექვსი წლის მანძილზე გუნდის ტიფოზთა შორის ლამის თილისმად იყო მიჩნეული. „სამპდორიაში" გადასვლის შემდეგ მან 17 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

**ესპანურ** „ესპანიოლში" მოთამაშე პარაგვაელი ფეხბურთელი, თავისი ქვეყნის ნაკრების წევრი მიგელ ანხელ ბენიტესი ყურადღების ცენტრში მოექცა. მისი ყიდვა მოუნდათ „ვალენსიას", „მალიორკასა" და „ტენერიფეს". ესპანურ გუნდთა გარდა ბენიტესით დაინტერესდნენ ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედი" და რამდენიმე ბრაზილიური კლუბი. აღსანიშნავია, რომ ბენიტესს ამასწინათ უსიამოვნება ჰქონდა „ესპანიოლის" მწვრთნელთან ხოსე ანტონიო კამაჩოსთან, რომელიც მას ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად არ ათამაშებდა. „კამაჩოს ჩემზე უკეთესი თავდამსხმელი არ ჰყავს და არ მესმის რად არ მათამაშებს სასტარტო შემადგენლობაში. მე დაუღლელად ვშრომობ, ის კი ასე მექცევა. რა გაეწყობა, სეზონის ბოლომდე დავრჩები, მერე კი სხვაგან გადავალ" — განუცხადა ბენიტესმა გაზეთ „მარკას". ბენიტესი „ესპანიოლში" 1995 წლიდანაა, მისი კონტრაქტი კი 2002 წლამდეა. ახლა ამბობენ, რომ შეჭირვებულ „ესპანიოლს" მისი გაყიდვა ხელსაც აძლევსო. ბენიტესმა პარაგვაის ეროვნულ გუნდში მსოფლიოს ჩემპიონატის

### ფეხბურთის რუკასთან



შესარჩევ კამპანიაში ყველაზე მეტი, ოთხი გოლი გაიტანა და საფრანგეთში, ფინალურ ეტაპზე უეჭველად ითამაშებს.

**სამხრეთ** ამერიკაში კოპა ლიბერტადორესზე მეხუთე ჯგუფში ერთი მატჩი გაიმართა. არგენტინულმა „რივერ პლეიტმა" პერუს „სპორტინგ კრისტალს" 3:1 სძლია. ანგარიში „რივერ პლეიტმა", კერძოდ კი მარსელო გალარდომ მე-9 წუთზე გახსნა. 26-ზე „სპორტინგ კრისტალის" მოთამაშემ ნილსონმა აღადგინა თანაფარდობა, მაგრამ შესვენების შემდეგ სებასტიან რამბერტმა (53 წთ), და მარტინ კარდეტიმ (84) არგენტინელთა სასარგებლოდ კიდევ ორი გოლი დაამატეს. შეხვედრას 11 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ახლა მეხუთე ჯგუფში 13 ქულით პირველ ადგილზეა „რივერ პლეიტი", 7 ქულით მეორეზეა პერუს „ალიანსა", მესამეზე 6 ქულიანია არგენტინული „კოლონია", ხოლო აუტსაიდერს „სპორტინგ კრისტალს" 3 ქულა აქვს.

**ბელგიელ** თავდამსხმელს ჟილ დე ბილდეს 9 თვიანი პირობითი პატიმრობა მიესაჯა. მას ბრალად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი ძალადობა ედებოდა. ბოლო ძალადობა 1996 წლის დეკემბერში მოხდა, როდესაც დე ბილდემ მუშტით ცხვირი გაუტეხა და თვალი დაუზიანა „აალსტის" ფეხბურთელს კრისტ პორტეს. ეს „ანდერლეხტისა" და „აალსტის" შეხვედრის დროს მოხდა. ამის გამო ქვეყნის საფეხბურთო ხელისუფლებამ ფეხბურთელს სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მანამდე, 1995 წელს კი დე ბილდე საავადმყოფოში მედდას დაესხა თავს. იმ დღეებში ფეხბურთელი ინსულტიან მამას ადგა თავს. ხსენებულმა ორმა ინციდენტმა ხალხის მრისხანება გამოიწვია და „ანდერლეხტი" იძულებული შეიქნა დე ბილდე ჰოლანდიური „ეინდჰოვენისთვის" მიეყიდა. დე ბილდეს ბელგიის ნაკრებშიც გაუჭირდა ადგილის შენარჩუნება და ითამაშებს თუ არა მსოფლიოს მოახლოებულ ჩემპიონატზე, ცნობილი არაა. ზემოხსენებული სასჯელის გარდა თავდამსხმელი 1100 დოლარითაც დაჯარიმდა და 75 საათით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გაწევაც მოუწევს ანუ ბავშვებს ფეხბურთის თამაშს ასწავლის.

**იტალიური** „ბოლონიას" მწვრთნელი რენცო ულივიერი მომდევნო სეზონში ალბათ „ნაპოლის" ჩაუდგება სათავეში. „ბოლონიიდან" წავალ და „ნაპოლის" გავწვრთნი, ვინაიდან აქ დარჩენის შანსი ნულის ტოლი მაქვს" — უთხრა ულივიერიმ ჟურნალისტებს. ულივიერი ის მწვრთნელია, რომელმაც ორი წლის წინ „ბოლონია" სერია B-დან A-ში აიყვანა და გასულ სეზონში კინაღამ უეფას თასზე გამსვლელი ადგილიც მოაპოვებინა. შემდგომ კლუბმა თვით რობერტო ბაჯო შეიძინა, მაგრამ ახლა იტალიის შეიდგზის ჩემპიონი ცხრილის შუაში ყოფნის მიუხედავად მაინც არაა გავარდნისგან დაზღვეული. გეხსომებათ ისიც, რომ ულივიერისა და ბაჯოს ცოტა ხნის წინ საჯარო კეჭნაობა მოუვიდათ. 1994 წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი თავის ძველ გუნდთან, „მილანთან" რომ არ ათამაშეს, განაწყენდა და გუნდიდან წასვლა განიზრახა, თუმცა შემდეგ დააბრუნეს. „ნაპოლი" კი დღეისათვის ბოლო ადგილზეა, 27 შეხვედრაში ორი თამაში აქვს მოგებული და ამ სეზონში უკვე მეოთხე მწვრთნელი ჰყავს. იგია ვინჩენცო მონტეფუსკო, რომელიც აქამდე სათადარიგო გუნდს ხელმძღვანელობდა. ძირითად გუნდს კი გამოუვალი მდგომარეობის გამო ჩაუდგა სათავეში. მოსალოდნელია, რომ მონტეფუსკო შემდეგ სეზონში თანამდებობიდან წავა.

**ბრაზილიის** სპორტის მინისტრის თანამდებობიდან გადადგა პელე, რომელსაც საგამომცემლო საქმიანობისთვის დრო აღარ რჩებოდა. ეს ცნობა მისმა პრეს-მდივანმა ჟოზე ნატალმა გაავრცელა. მან თქვა: „გადაწყვეტილება მოულოდნელი არაფრით იყო. მინისტრობის პერიოდში მას საგამომცემლო საქმიანობიდან ერთი გროშიც არ მიუღია, ყველა კონტრაქტი ჩაშალა".



დასაწყისი პირველ გვერდზე

წამყვანი ისევ დაწყვილებულ ათლეტებს აცხადებს. ესენი უკვე ძირითადები არიან. ძიუდოს მიმდევარი, 118-კილოიანი ლევან ჯაფარიძე ისევ ქუჩის მოჩხუბარ დათო ახობაძის წინააღმდეგ. ლამისაა ჭერი ჩამოინგრეს, ყვირილი, გამამხნევებელი შეძახილები, ძმაკაცები თავისიანს ამხნევებენ, რინგზე უმოწყალო მუშტქნევა იწყება. ნაცნობები თავს ველარ იკავებენ და რინგს უახლოვდებიან, კიდევ კარგი, იქაურობა ბადითაა დაცული, თუმცა დაცვის სამსახური ფხიზლადაა, მომხვდურთ უკანვე, ტრიბუნე-



მებრძოლთა ლამაზმანები მოუძღვიან

# პირველი სისხლი

ბისკენ აბრუნებენ. გავიდა ოთხი წუთი და დასისხლიანებულ ახობაძეს მსაჯი ბრძოლას აწყვეტინებს. სპორტსმენები ხელგადახვეულნი ტოვებენ სარბიელს. მათ ნაცვლად კი ფიცარგანისკენ თავისუფალსტილელი ნიკო აფციაური და ქუჩელი დათო გოგინაშვილი მოაბიჯებენ. ხალხს წინამძღოლი გოგონების გამოჩენაზე გული საგულეს აღარ აქვს, თუმცა არ იმჩნევენ და მორიგი ორთაბრძოლის მოლოდინში არიან. მსაჯი წარმოთქვამს, ბოქს, გადის ექვსი წუთი, მოჭიდავეს მეტოქე შებოჭილი ჰყავს და სახეში მუშტებს ურტყამს. აშკარა უპირატესობა. რეფერი ბიჭებს აშველებს, გამარჯვებული აფციაურია. წამყვანი რინგზე ადგილს იკავებს, ხალხს ყველაზე საინტერესო ჩხუბის მონაწილეთ წარუდგენს. ჩაფხუტებით წასგარეშე ბრძოლაში თურქეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებული, 81-კილოიანი კიკბოქსინგელი ზაზა დარბაიძე ქუჩელ, სარდაფებში ფულზე მოჩხუბარ, მეტოქეზე ორი კილოგრამით მძიმე ზურაბ კიკნაძის წინააღმდეგ. მიილია 12 წუთი, ბიჭებს სახე დალილავებული აქვთ, ხან ერთია ზემოდან, ხან მეორე. დაინიშნა დამატებით 3 წუთი. გამარჯვებული გაურკვეველია, პუბლიკა მოლოდინშია, ტოტალიზატორში საკმაო ფული ტრიალებს. ბოლოს აცხადებენ — სამმა მსაჯმა გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონს მიაკუთვნაო. ორი წუთის შემდეგ კი მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებით 150 ლარი კიკნაძეს ერგო. ქომაგთა უმრავლესობამ სწორედ ამას დაუჭირა მხარი. ისევ ხმაური და რინგზე იაპონური კარატეს მიმდევარი მერაბ ბასილაშვილი, ქართული ხრიდოლის მიმდევარ ზურაბ ჩაჩანიძეს დაუპირისპირდა. ქართულმა იმარჯვა, 5 წუთში „იაპონელი" დასისხლიანდა, ჯგუფში ბრძოლები მორჩა. წინ ნახევარფინალებია. იწყება კულმინაცია. ხალხი ემოციებს ველარ იოკებს, რინგისკენ ლამობენ, ჰალსტუხიანი მცველები ძალას ხმარობენ, აქაურობა დატოვეთ, თორემ ბრძოლები შეწყდებაო. მაყურებელი როდის-როდის წყნარდება. ნახევარფინალების ჯერია. ერთმანეთის პირისპირ ორი მოჭიდავე-მოჩხუბარია. ერთი მძიმეწონოსანი ძიუდოისტი ჯაფარიძე, მეორე 25 კილოთი მსუბუქი „თავისუფალი" აფციაური. ჯაფარიძემ შებოჭა, ლამის იყო კისერი მოტეხა და ფინალში გავიდა, თან 150 ლარი მიითვალა. ისევ ნახევარფინალების ჯერია. წესით კიკნაძეს უნდა ეჩხუბა, მაგრამ წინა ბრძოლისას ტრავმა მიუღია, მის ნაცვლად ალტერნატიულ ჩხუბში გამარჯვებული წიკლაური წარუდგა ძიუდოისტ ჩაჩანიძეს. წიკლაური ნამეტანი მძიმე იყო, ნაკლებად მოქნილი, სამაგიეროდ, მისი დარტყმის ძალა, იცოცხლეთ, ჩაჩანიძემაც არაერთხელ გამოსცადა. დროის ნახევარი გასული გახლდათ, ჩაჩანიძე მოძრაობდა, წიკლაური დასდევდა, ერთმანეთს მოხელთებისთანავე ულაწუნებდნენ, მიდი, მიდი, გააქანე, ხეთქე, უყიჟინებდნენ ქომაგნი. ბოლოს წიკლაურს სისხლდენა ველარ შეუჩერეს, ექიმმა ბრძოლის გაგრძელება აუკრძალა. დარჩა ფინალი. 118-კილოიანი ჯაფარიძე 75-იანი ჩაჩანიძის პირისპირ. მანამდე ქართული საბრძოლო ხელოვნების — ხრიდოლის ოსტატების საჩვენებელი გამოსვლა. ხალხი იშტაზე მოვიდა. მეორე ნახევარფინალის ანალოგიური სცენარი. დიდი დგას, პატარა მოძრაობს, დიდი ძიუდოისტია, საკმარისია, პატარა ხელთ იგდოს... აზარტულნი ფსონებს ეძალებიან, ფოიეში მსხვილმანი კუპიურების ფრიალია. 50 ჯაფარიძეზე, 100 ჩაჩანიძეზე, ეს ვერ მოიგებს, პატარა წელში შეუვარდება და მოგვერდს გაუკეთებს; კი, შეიძლება, მაგრამ ვერ ასწევს, იმან ერთი თუ მოადო, ცხვირ-პირს გაუერთიანებსო — საქმეს არჩევდნენ. ბოლოს დაიწყო. ორი წუთი მიილია. ჩაჩანიძე ხალიჩას გაკრულა, ჯაფარიძე ზემოდანაა, ურტყამს



ჯაფარიძემ (მარცხნივ) და ჩაჩანიძემ ფინალში დაუზოგველად იბრძოლეს, მერე კი ძმურად დაშორდნენ ერთმანეთს

და ურტყამს, ხელიც ჩასჭიდა, სათავისოდ მოირგო და მტკივნეული ილეთი გაუკეთა. ჩაჩანიძე დანებდა. ყველანი კმაყოფილები არიან. პირველი გამარჯვებული ცნობილია — ლევან ჯაფარიძე. უახლოესი შეიდი კვირადღის განმავლობაში მსგავსი სანახაობა სპორტის სასახლეში კვლავ გაიმართება. მიბრძანდით, ნახეთ, ოღონდ, ნუ დაგავიწყდებათ, რინგთან მიახლოება მაყურებლისთვის არ შეიძლება...

**კობა ვახტანგიშვილი**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარაცხელია, ირაკლი შენგელია
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29